



USAID
 ამერიკელი ხალხისგან

PH international
 ADVANCING SOCIETIES, CONNECTING PEOPLE

Applied Civic Education and Teacher Training Program
 სამოქალაქო განათლების და პედაგოგთა გადამზადების პროგრამა

საინფორმაციო ბიულეტენი №7



საქველმოქმედო ღონისძიება ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად

ახმეტის #2 სკოლის სამოქალაქო კლუბის მიერ ორგანიზება გაუკეთდა საქველმოქმედო კონცერტს, რომლის განხორციელებაშიც მათ ადგილობრივი ხელისუფლება დაეხმარა (მუნიციპალიტეტის გამგეობა და კულტურის სამსახური, რომლებმაც უსასყიდლოდ დაუთმეს ბავშვებს კონცერტისთვის დარბაზი და აპარატურა) კონცერტზე შეგროვდა 300 ლარი, რომელიც გადაირიცხა ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა ფონდში.



სამაშველო სამსახურთან ერთად მოგვარებული მოძრაობის პრობლემა გურჯაანში



დიდთოვლობის გამო საფეხმავლო ბილიკებზე, გურჯაანში შეიქმნა მოძრაობის პრობლემა, გურჯაანის #1 სკოლის სამოქალაქო კლუბმა მიმართა ადგილობრივ ხელისუფლებას (მუნიციპალიტეტის გამგეობას) და სთხოვეს კომპეტენტური პირების დახმარება გზის განმენდით სამუშაოებში. ბავშვების მოთხოვნა დაკმაყოფილდა და სამოქალაქო განათლების კლუბთან დასახმარებლად მივიდა ადგილობრივი სამაშველო სამსახური, რომლებთან ერთადაც ბავშვებმა შეძლეს ქალაქის ხალხმრავალ ტერიტორიებზე საფეხმავლო ბილიკების განმენდა.

მატნის №1 სკოლისა და KRDF - ის დაშვებობა

მატნის #1 სკოლა, KRDF ის ოფისის წარმომადგენლებმა მიიწვიეს სტუმრად საკუთარ ოფისში, ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა ბავშვებისთვის ორგანიზაციის ფუნქციის და მუშაობის სტილის გაცნობა. სამოქალაქო კლუბსა და ორგანიზაციას შორის გაფორმდა ურთიერთშთანხმების მემორანდუმი, რომლის თანახმადაც KRDF მთელი სასწავლო წლის განმავლობაში სტაჟიორებს უმასპინძლებს მატნის #1 სკოლიდან და ასევე ორგანიზაციამ სამოქალაქო კლუბს საჩუქრად გადასცა კლუბის ოთახისთვის ავეჯი.



სანიაღვრე არხები ლაგოდების №3 სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე



ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო მონაწილეობა ლაგოდების #3 სკოლის მიერ მოპოვებული გრანტით გათვალისწინებულ სამუშაოებში და უსასყიდლოდ დაუთმო მათ ტექნიკა, ადმინისტრაციული რესურსი და განახორციელა სარეაბილიტაციო სამუშაოები, სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე სანიაღვრე არხის მშენებლობასთან დაკავშირებით

საქართველო აზერბაიჯანის საზღვარზე განხორციელებული დასუფთავების აქცია

ლაგოდების ფორუმის გუნდმა, განახორციელა აქტივობა რომლის ფარგლებშიც ლაგოდების ყველა პარტნიორი და არაპარტნიორი სკოლის თვითმმართველობებმა მიიღეს მონაწილეობა. გასუფთავდა საქართველო აზერბაიჯანის სასაზღვრო გამშვები პუნქტის მიმდებარე ტერიტორია, მოეწყო აქცია და გაეკრა ხეებზე საინფორმაციო ხასიათის პოსტერები.



მოწესრიგებული ღობე კაჭრეთის სკოლას



კაჭრეთის სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბმა, მონაწილეობა მიიღო სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ მცირე გრანტების კონკურსში და მოიპოვა 450 დოლარის ოდენობის დაფინანსება. მიღებული გრანტის თანხით და ადგილობრივი ხელისუფლების აქტიური დახმარებით, მათ სკოლის გარკვეულ უბნებზე დაამონტაჟეს ღობე, რომელიც აქამდე არ იყო და სკოლის მოსწავლეებს ბევრ პრობლემას უქმნიდა.

დღეისათვის აღნიშნული პრობლემა მოგვარებულია და სკოლას მთელს პერიმეტრზე აქვს ახალი ღობე.

გასულ კვარტალში ჩატარდა 7 თანატოლთაგანათლების ტრენინგი სოციალური მედიაში, რომელსაც უძღვებოდნენ პროგრამის კურსდამთავრებული, წარმატებული ბლოგერი ახალგაზრდები. ტრენინგები კახეთის სხვადასხვა რაიონის გუნდებისთვის ჩატარდა და კახეთის სულ 48 სკოლის, 96 მა მოსწავლემ.



ეკო-მიგრანტების დახმარება ახმეტაში



ახმეტს #1 სკოლის სამოქალაქო კლუბის მოსწავლეები ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით ესტუმრნენ, პანკისის ხეობაში მცხოვრებ ქართულ ეკომიგრანტებს და დაეხმარნენ ტანსაცმელითა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებით.

თელავის სკოლები სტუმრად იუსტიციის სახლსა და პროკურატურაში

თელავის სხვადასხვა სკოლის სამოქალაქო კლუბის ლიდერები ესტუმრნენ იუსტიციის სახლსა პროკურატურას, მისი დათვალიერების, გაცნობისა და მუშაობის პრინციპის შესწავლის მიზნით



წყლის პრობლემის ადვოკატირება სოფ. მატანში

მატნის შემოგარენი არის ძალიან დაბინძურებული, ასევე წყლის სათავე ნაგებობა. ამ პრობლემის ადვოკატირების კამპანია წამოიწყო მატნის სკოლამ, რომლის ფარგლებშიც შეხვდნენ მოსახლეობას, დაათვალიერეს დაბინძურებული ტერიტორიები, მოამზადე სიუჟეტები და გადაიღეს ფოტოები.

